

Winter report

DIGITAL

ECOSYSTEM DIGEST

2026

**ახალი AI პროფესიები და AI უნარებზე
მოთხოვნა სექტორების შრომის ბაზარზე**




შესავალი

ბოლო ერთ წელიწადში, ხელოვნური ინტელექტის გავლენა საქართველოს შრომის ბაზარზე საგრძნობლად გაიზარდა. ეს გამოიხატა როგორც ახალი, AI-ზე ფოკუსირებული სამუშაო ადგილების გაჩენით, ისე სხვადასხვა პროფესიებში ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ უნარებზე მოთხოვნის ზრდით.

ანგარიში ეფუძნება 2025 წლის იანვარში LinkedIn-დან, HR.ge-დან და Jobs.ge-დან შეგროვებულ მონაცემებს. **კვლევა მოიცავს ყველა იმ ვაკანსიას (სულ 112 განცხადებას), რომელიც, ან სრულად არის ფოკუსირებული ხელოვნურ ინტელექტზე, ან ფორმალურად ითხოვს/ანიჭებს უპირატესობას AI უნარებსა და ცოდნას.** ინფორმაცია ფორმალური განათლების პროგრამების შესახებ მიღებულ იქნა „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა“ (NAEC) და „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისგან“ (EMIS), ხოლო მონაცემები სხვადასხვა სატრენინგო პროგრამების შესახებ შეგროვდა იმავე პერიოდში არსებული ღია წყაროებიდან.

AI-სთან დაკავშირებული ვაკანსიების შეგროვების ჩარჩო



კვლევის მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბევრ პოტენციურად რელევანტურ ვაკანსიაში AI უნარები ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ მითითებული სამუშაო აღწერილობებში. ცხადია, ეს არ ნიშნავს ხელოვნური ინტელექტის კომპეტენციებზე მოთხოვნის არარსებობას, არამედ მიუთითებს დამსაქმებელთა მიერ ვაკანსიის ტექსტის ხშირად არასრულყოფილად ფორმირებაზე, რაც ამცირებს კვლევის შედეგების სიზუსტეს. გარდა ამისა, მონაცემთა ბაზა ასახავს ადგილობრივ, ქართულ ბაზართან დაკავშირებულ ვაკანსიებს, მათ შორის საერთაშორისო კომპანიების მიერ საქართველოში მცხოვრები კანდიდატებისთვის შეთავაზებულ დისტანციურ პოზიციებს. თუმცა, კვლევა სრულად ვერ მიმოიხილავს გლობალური შრომის ბაზრის შესაძლებლობებს, სადაც ბევრ ადგილობრივს შეუძლია დასაქმდეს.

მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვებისა, მოპოვებული მონაცემები იძლევა საკმარისად ფართო საფუძველს ძირითადი ტენდენციებისა და კანონზომიერებების იდენტიფიცირებისთვის. ანგარიში ფოკუსირებულია შემდეგ კითხვებზე:

- ამაჟამად რა ტიპის წმინდა AI პოზიციებია ხელმისაწვდომი საქართველოს შრომის ბაზარზე და რომელი ორგანიზაციები არიან დამსაქმებლები?
- ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით, რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები არსებობს საქართველოში და როგორია ამ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა?
- რა ტიპის ახალი, ჰიბრიდული AI პოზიციები გაჩნდა ბაზარზე და რა სახის განათლებასა და კომპეტენციებს მოითხოვს აღნიშნული ვაკანსიები?
- რომელი AI უნარებია ყველაზე მოთხოვნადი სხვადასხვა პროფესიულ სფეროში?
- დასაქმებულთათვის, რა სახის მოკლევადიანი ტრენინგები არსებობს პრაქტიკული AI უნარების გამომუშავებისთვის?
- რა დონეზე შეესაბამება არსებული ტრენინგების შინაარსი დამსაქმებელთა მიერ ვაკანსიებში მითითებულ AI მოთხოვნებს?

ტექნიკური AI პროფესიები

საქართველოში ჩნდება წმინდა ტექნიკური ხასიათის AI სამუშაო პოზიციები, სადაც მთავარი მოთხოვნა AI/ML ინჟინრებზე მოდის

ტიპური სამუშაო პოზიციები ადგილობრივ ბაზარზე

AI ინჟინერიის ძირითადი როლები AI ინჟინერი / მანქანური სწავლების (ML) ინჟინერი AI/ML ინჟინერიის გუნდის ხელმძღვანელი (Lead) AI პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერი LLM ინტეგრაციით	AI მონაცემთა და ანალიტიკის როლები AI მონაცემთა მეცნიერი (Data Scientist) AI მონაცემთა ინჟინერი AI მონაცემთა ოპერაციების სპეციალისტი
	AI ოპერაციებისა და ინფრასტრუქტურის როლები MLOps ინჟინერი AI ტესტირების ავტომატიზაციის ინჟინერი GenAI ოპერაციების ინჟინერი AI ინფრანსტრუქტურის ავტომატიზაციის ინჟინერი AI RPA დეველოპერი
	AI არქიტექტურისა და სისტემური დიზაინის როლები AI/მონაცემთა გადანაცვლების არქიტექტორი ტექნიკური AI კონსულტანტი

AI ინჟინერიის როლების მიღმა, პარალელურად ჩნდება ვაკანსიები მონაცემთა მეცნიერებისა და გამოყენებითი AI-ის მიმართულებითაც.

ტექნიკური AI ჰოზისია

ადგილობრივი AI ინჟინრებისთვის
დასაქმების რამდენიმე
ალტერნატიული გზა არსებობს.

AI ინჟინერი



საერთაშორისო კომპანიები
(ძირითადად), რომლებსაც
ფიზიკური ოფისები აქვთ
საქართველოში

სრულად გლობალური
ბაზარი, სადაც ადგილობრივ
სპეციალისტებს დისტანციურად
შეუძლიათ სამსახურის ძებნა

საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც
სპეციფიკურად საქართველოს ბაზარზე
არსებულ კანდიდატებს ასაქმებენ
დისტანციურად (ფიზიკური
წარმომადგენლობის გარეშე)

საქართველოში არსებული ტექნიკური
AI როლები ორიენტირებულია გლობალური კლიენტებისთვის
სერვისების მიწოდებასა და პროდუქტების დანერგვაზე
და არა ლოკალურ AI კვლევებზე.

ტექნიკური AI კომპანიები

AI კომპანიები ხშირად გვთავაზობენ დისტანციური მუშაობის შესაძლებლობას.

საქართველოში არსებული ტექნიკური AI კომპანიების ვაკანსიათა **4/5** დისტანციური ან ჰიბრიდულია,

თუმცა კომპანიების უმეტესობა ასევე ინახუნებს ძლიერ ადგილობრივ წახმომადგენლობას.



საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანიები წარმოადგენენ AI ინჟინრებსა და ყველა სხვა ტექნიკურ AI კომპანიაზე მოთხოვნის ძირითად წყაროს.

AI კომპანიებზე დამსაქმებელი კომპანიების მაგალითები



პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიისა და პროდუქტების განვითარების გლობალური კომპანია, რომელიც ძირითადად ეძებს AI, მონაცემთა და ლრუბლოვანი ინჟინერიის ლიდერებს. სთავაზობს მათ ჰიბრიდულ მუშაობას თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ოფისებიდან ან სრულ დისტანციურ რეჟიმს.




გლობალური AI კომპანია (2021 წელს შეისყიდა ქართული სტარტაპი - Pulsar AI), რომელიც ასაქმებს პროგრამულ ინჟინრებს, მონაცემთა ოპერაციების სპეციალისტებსა და QA ტესტირებს AI-ზე დაფუძნებული პროდუქტების შესაქმნელად და გასაუმჯობესებლად.



საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (EdTech) AI სტარტაპი, რომელიც ძირითადად დისტანციურად ასაქმებს შემოქმედებით პროფესიონალებს მარკეტინგული კონტენტის, ვიზუალური დიზაინისა და AI-ით გაუმჯობესებული ციფრული კომუნიკაციების მიმართულებით.

ტექნიკური AI უზრუნველყოფის სტრატეგია

ტექნიკური AI სამუშაო პოზიციები მოითხოვენ კომპლექსურ და მრავალფეროვან AI უნარებს.



მართვისა და ნდობის შრე

პასუხისმგებლიანი AI, შესაბამისობა (Compliance), მონაცემთა არქიტექტურა

გამოყენებითი შრე

Edge AI, ავტომატიზაცია, ინტერფეისის სწრაფი პროტოტიპირება (Rapid UI)

წარმოების შრე

MLOps, ღრუბლოვანი (Cloud) ტექნოლოგიები, DevOps, ვექტორული მონაცემთა ბაზები (Vector DB).

ინტელექტის შრე

ML/DL, დიდი ენობრივი მოდელები (LLMs), RAG სისტემები, ავტონომიური აგენტები.

აღნიშნული სხვადასხვა როლები მოითხოვენ მაღალი დონის პრაქტიკულ გამოცდილებას მოდელირების, დანერგვის, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურისა და მართვის მიმართულებით. დამსაქმებლები, კანდიდატებისგან მოელოდნენ ღრმა ტექნიკური ცოდნის სინთეზს წარმოებასთან და/ან რეგულაციების ცოდნასთან.

ფორმალური განათლება AI ტექნოლოგიაში

AI სპეციალობის პროგრამები უკვე იღებენ სტუდენტებს საქართველოში, მოთხოვნის კვალდაკვალ

AI მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (IT-ზე ფოკუსირებული): სტუდენტთა ჩარიცხვა წლების მიხედვით



ხელოვნური ინტელექტი

ხელოვნური ინტელექტი (ინგლისურენოვანი)

სტუდენტები ჯერ არ ჩარიცხულან

კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი

სტუდენტთა ჩარიცხვა

300 2025

100 2024

კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი (ინგლისურენოვანი)

სტუდენტთა ჩარიცხვა

17 2025

მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი

სტუდენტთა ჩარიცხვა

9 2025

22 2024





2 2023

ოთხ უმაღლეს სასწავლებელს უკვე გააჩნია AI საბაკალავრო პროგრამა (IT-ის მიმართულებით), მათ შორის სამმა უკვე მიიღო სტუდენტები ერთიანი ეროვნული გამოცდებით. ასევე, რამდენიმე პროგრამა შემუშავების, ან აკრედიტაციის პროცესშია. ასევე, უნივერსიტეტები სთავაზობენ აბიტურიენტებს AI საკითხებით ინტეგრირებულ პროგრამებს სხვა სპეციალობებშიც, მაგალითად AI და ბიზნესი (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროგრამა – ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში) და AI საჯარო მმართველობაში (ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა – ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში).

ჰიბრიდული AI კოზიციები

საქართველოში AI სამუშაო პოზიციები უკვე სცდება მხოლოდ ღრმა ტექნიკურ როლებს და მოიცავს ჰიბრიდულ პოზიციებსაც, რომლებიც არ მოითხოვენ სიღრმისეულ IT გამოცდილებას.

ტიპური ჰიბრიდული როლები ადგილობრივ ბაზარზე

	რას აკეთებს?	რა ცოდნა/გამოცდილებაა საჭირო?
 AI კონტენტის მენეჯერი	მოკლე ციფრული კონტენტის შექმნა მარკეტინგული მიზნებით (მათ შორის სოციალური მედია) AI ინსტრუმენტების გამოყენებით.	გამოცდილება კონტენტის შექმნაში. AI გენერაციული ინსტრუმენტებისა და მედიამასალების დამუშავების საბაზისო უნარები.
 AI იმპლემენტაციის ლიდერი	ბიზნესპროცესების გამარტივება და ავტომატიზაცია; თანამშრომლების აღჭურვა პრაქტიკული AI ინსტრუმენტებით.	პრაქტიკული ცოდნა AI ინსტრუმენტების და ბიზნესის No-code ავტომატიზაციის კუთხით.
 AI მიმართულების ხელმძღვანელი / დირექტორი	ორგანიზაციის AI სტრატეგიის განსაზღვრა და ძირითადი ინიციატივების კოორდინაცია სხვადასხვა დეპარტამენტს შორის.	პრაქტიკული გამოცდილება AI/IT სტრატეგიის, ციფრული ტრანსფორმაციისა და მონაცემთა პლატფორმების მართვაში.
 AI ბრენდის ცნობადობის სპეციალისტი	ბრენდის ხილვადობის გაზრდა AI-ზე დაფუძნებულ საძიებო სისტემებსა და ციფრული მედიის პლატფორმებზე.	გამოცდილება PR-ის, ან ციფრული მარკეტინგის სფეროში; SEO-სა და ონლაინ კომუნიკაციების სიღრმისეული ცოდნა.

AI უნარები შრომის ფართო ბაზარზე

AI უნარები სულ უფრო მოთხოვნილი ხდება ისეთ პოზიციებზეც, რომლებიც არ მიეკუთვნება უშუალოდ წმინდა AI მიმართულებას

პოპულარული AI უნარები ფართო ბაზრის პოზიციებზე

AI კონტენტის შექმნა

Workflow ავტომატიზაცია No-code ინსტრუმენტებით

AI-ზე დაფუძნებული ანალიტიკა, ინტერპრეტაცია და რეპორტიინგი

AI ინსტრუმენტები ყოველდღიური მუშაობისთვის

SEO ოპტიმიზაცია AI-ის დახმარებით და AEO

შრომის ბაზრის სხვადასხვა პოზიციებზე, AI ძირითადად გამოიყენება როგორც პრაქტიკული დამხმარე ინსტრუმენტი. აქცენტი კეთდება კონტენტის შექმნაზე, სიჩქარესა და ეფექტურობაზე და არ მოითხოვება სიღრმისეული ტექნიკური ცოდნა.

AI უნარები ურობის ფართო ბაზარზე

AI უნარებზე მოთხოვნა ყველაზე მეტად IT, მონაცემთა ანალიტიკის და მარკეტინგის მიმართულების ვაკანსიებში ჩანს.

IT და პროგრამული უზრუნველყოფა

მონაცემები და ანალიტიკა

მარკეტინგი და კონტენტი

კომუნიკაციები (SEO და PR)

ბიზნეს-ოპერაციები


IT სფეროში AI როლები მოითხოვს ფართო ტექნიკურ ცოდნას დეველოპმენტის, ინტეგრაციისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

მონაცემთა როლები ფოკუსირებულია ანალიტიკასა და მოდელირებაზე, ხოლო **მარკეტინგსა და სხვა ბიზნეს-როლებში** AI ინსტრუმენტები ძირითადად გამოიყენება კონტენტის შესაქმნელად, ოპტიმიზაციისა და ეფექტურობის გასაზრდელად.

AI უნარები ურობის ფართო გაზარდა

საქართველოში AI უნარებზე მოთხოვნა პოლარიზებულია: ზოგ პოზიციაზე საჭიროა ძლიერი ტექნიკური ექსპერტიზა, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე მხოლოდ საბაზისო პრაქტიკული AI უნარები. შესაბამისად, საშუალო დონის ცოდნაზე მოთხოვნა შედარებით დაბალია.

AI უნარები ადგილობრივი სამუშაო პოზიციებისთვის



AI უნარები დავაჯგუფეთ ორი კრიტერიუმის მიხედვით: რამდენად ბევრ განსხვავებულ სექტორშია მათზე მოთხოვნა და რა დონის კომპეტენციით გამოირჩევა თითოეული უნარი. ამ დაჯგუფების საფუძველზე, მოთხოვნა აბსოლუტურ რაოდენობაში ყველაზე მაღალია როგორც საბაზისო უნარებზე, ასევე მაღალი სპეციალიზაციის მქონე, მონიწივე უნარებზე.

ტრენინგები AI უნარების განსაკუთრებლად

პრაქტიკული AI ცოდნის შესაძენად სხვადასხვა შინაარსის ტრენინგები არსებობს.

AI ტრენინგების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

AI წიგნიერება

AI მარკეტინგში და კონტენტის შესაქმნელად

AI ყოველდღიური მცირე დავალებებისთვის

AI აგენტები No-code ავტომატიზაცია

AI განათლება ბავშვებისთვის

სტანდარტული AI სასწავლო კურსები რამდენიმე კვირას გრძელდება მათი ღირებულება, უმეტესად 800–1500 ლარის ფარგლებში მერყეობს.


საქართველოში AI ტრენინგების და სასწავლო კურსების მრავალფეროვნება იზრდება. თუმცა, ამ ეტაპზე ამ ინიციატივებს შორის, არ არსებობს ერთი დომინანტური, ან ფართოდ დანერგილი მიდგომა.

ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ზოგადი, ისე სპეციალიზებული AI კურსები, ხოლო ზოგიერთი ორგანიზაცია მართავს საკუთარ, შიდა საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებს.

ტრენინგები AI უნარების განსაკუთრებლად

არსებული ტრენინგები ფარავნ ყველაზე მოთხოვნად AI უნარებს, თუმცა კვლავ რჩება სივრცე უფრო კომპლექსური (cross-skill) კურსებისთვის.

ტრენინგების მეშვეობით აქტიურად მიწოდებული AI უნარები



დამსაქმებელთა მიერ აქტიურად მოთხოვნილი AI უნარები (ვაკანსიების მიხედვით)

რა არის ციფრული ეკონოსტემის ღაიჯანსტი?

Digital Ecosystem Digest არის ყოველკვარტალური ელექტრონული კვლევითი ანგარიში, რომელიც გამოიცემა BTU-ს მენარმეობის ცენტრის ინიციატივით.

ანგარიში მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: AI, ICT სექტორი, ციფრული ბიზნესინოვაციები ელექტრონული კომერციის ბაზრები, ციფრული პლატფორმები, ფინტექ ტექნოლოგიები და ა.შ.

ანგარიშის მიზანია როგორც არსებული ინფორმაციის კონსოლიდაცია, ასევე ახალი პრაქტიკული ცოდნის შექმნა ციფრული ეკონომიკის შესახებ.

თითოეული კვლევის ანგარიში იქმნება სხვადასხვა მკვლევართა თანაავტორობით. მიმდინარე გამოცემის ავტორები არიან BTU-ს აფილირებული ასოცირებული პროფესორი ცოტნე ჟდენტი, BTU-ს დოქტორანტი ნათია ხუხუნაიშვილი და BTU-ს BA საფეხურის სტუდენტი მარიამ წინნალაშვილი.



DIGITAL ECOSYSTEM DIGEST

